დანართი 1
დამტკიცებულია: ბრ.#07/01-03, 22/01/2025

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

კვლევის ეთიკის კომისიის

დებულება

თბილისი
2024

შინაარსი

კვლევის ეთიკის კომისიის დებულება 3

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება 3

მუხლი 2. ზოგადი დებულებები 4

მუხლი 3. ეთიკის კომისიის შემადგენლობა 6

მუხლი 4. ეთიკის კომისიის მუშაობის წესი 7

მუხლი 5. განაცხადის წარდგენა ეთიკის კომისიაში 8

მუხლი 6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 9

მუხლი 7. გადაწყვეტილების გასაჩივრება 10

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები 11

კვლევის ეთიკის კომისიის დებულება

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1) წინამდებარე დებულების მიზნებისთვის დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **უნივერსიტეტი** - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“.

ბ) **სკოლა** - უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტრული ერთეული;

გ) **კვლევა** - სამეცნიერო / შემოქმედებითი საქმიანობის შესრულება, რომელიც მოიცავს **ფუნდამენტურ კვლევას:** რეფერირებად გამოცემებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიას; გამოქვეყნებულ მონოგრაფიას; სამეცნიერო წიგნის/წიგნის თავის ავტორობას/თანაავტორობას; სამეცნიერო შეხვედრების, კონფერენციების მასალების კრებულში სტატიის გამოქვეყნებას; ნაშრომის წარდგენას სამეცნიერო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კვლევით სემინარზე; სამეცნიერო გამოცემის, გამოცემის ცალკეული თავების და ქვეთავების რედაქტირებას. **გამოყენებით კვლევას:** სამეცნიერო სტატიის მომზადებას და ჟურნალში, გაზეთში ან ელექტრონულ გამოცემაში გამოქვეყნებას; სამეცნიერო წიგნის/წიგნის თავის ავტორობას/თანაავტორობას; მნიშვნელოვანი პრეზენტაციები სფეროს პროფესიულ შეხვედრებზე, კონფერენციებზე; პროფესიული წიგნის, ჟურნალის, გაზეთის ან ელ-გამოცემის რედაქტორობას. **სწავლის, სწავლებისა და პედაგოგიური საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებულ კვლევას:** ქეისების (კაზუსების) მომზადებას; სასწავლო გზამკვლევის შექმნას; სახელმძღვანელოების დაწერა/თარგმნა/რედაქტირებას; სახელმძღვანელოს თავის შემუშავებას; სასწავლო მასალის, გზამკვლევის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისთვის საჭირო კვლევას; ტრენინგის მასალის შექმნას;

დ) **მკვლევარი** – უნივერსიტეტის აკადემიური ან/და აფილირებული პერსონალი, რომელიც ეწევა კვლევით საქმიანობას და კვლევას აქვეყნებს უნივერსიტეტის სახელით. წინამდებარე დებულების მიზნებისთვის ტერმინი მკვლევარი მოიცავს როგორც ერთ მკვლევარს, ასევე მკვლევართა ჯგუფს;

ე) **კვლევის ეთიკის კომისია** - წინამდებარე დებულების შესაბამისად და მიზნებისთვის შექმნილი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ექვემდებარება შესაბამის სკოლას და რომელიც წინამდებარე დებულებაში შესაძლოა მოხსენიებული იყოს როგორც <u>კომისია.</u>

ვ) **აკადემიური პერსონალი** - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსის წესით შერჩეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი, რომელიც აფილირებულია/არ არის აფილირებული უნივერსიტეტთან, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია სრულ/არასრულ განაკვეთზე და

მონაწილეობს/წარმართავს კვლევით, აკადემიურ, საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ პროცესს;

ზ) **აფილირებული პერსონალი** – უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსის წესით შერჩეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი, რომელიც აფილირებულია უნივერსიტეტთან, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია სრულ/არასრულ განაკვეთზე და მონაწილეობს/წარმართავს კვლევით, აკადემიურ, საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ პროცესს;

თ) **კვლევის ეთიკურობა** - მკვლევარის მიერ განხორციელებული კვლევის შესაბამისობა ეთიკური კვლევის წინამდებარე დებულებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ პრინციპებთან.

2) დებულებაში გამოყენებულ სხვა დანარჩენ ტერმინს აქვს უნივერსიტეტის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1) წინამდებარე დებულება არეგულირებს უნივერსიტეტის შესაბამის სკოლაში კვლევის ეთიკის კომისიის ჩამოყალიბების, ფორმირების, კომისიის საქმიანობის, მისი მიზნის მიღწევისა და ამოცანების განხორციელების გზებს. ადგენს კვლევის ეთიკის კომისიის სტრუქტურასა და ფუნქცია-მოვალეობებს;

2) დებულების მიზანია მოაწესრიგოს უნივერსიტეტის აკადემიური ან/და აფილირებული პერსონალის მიერ უნივერსიტეტის სახელით წარმოებული/გამოქვეყნებული კვლევების შესაბამისობა ეთიკურ კვლევის პრინციპებთან და ნორმებთან;

3) კვლევის ეთიკის კომისიის ძირითადი ფუნქციაა შეაფასოს უნივერსიტეტის ფარგლებში წარმოებული კვლევის საქართველოს კანონმდებლობასთან და კვლევის ეთიკის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრულ წესებთან შესაბამისობა (ეთიკურობა) და კვლევის უნივერსიტეტის სახელით განხორციელების მიზანშეწონილობა;

4) კვლევის ეთიკის კომისიის მიზანია იყოს გარანტორი, რომ:

ა) მკვლევარის მიერ განხორციელებული კვლევა წარიმართება საქართველოს კანონმდებლობითა და კვლევის ეთიკის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული წესებით დადგენილი პასუხისმგებლობითა და მაღალი სტანდარტებით;

ბ) დაგეგმილი კვლევა შესაბამისია საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებთან;

გ) დაცული და უზრუნველყოფილია კვლევებში მონაწილე პირების უსაფრთხოება, პიროვნული ავტონომია, ღირსება და სხვა უფლებები;

5) წინამდებარე დებულების მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის აფილირებულ და აკადემიურ პერსონალზე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ კვლევითი საქმიანობა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და მოახდინონ კვლევის შედეგების გასაჯაროება ან გამოქვეყნება უნივერსიტეტის სახელით. წინამდებარე დებულება არ ვრცელდება მედიცინის სკოლის კვლევებზე, რადგან აღნიშნული სკოლა ხელმძღვანელობს სფეროში მოქმედი სპეციალური ეთიკური ნორმებით;

6) ეთიკის კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად;

7) კვლევის ეთიკის კომისიის საქმიანობა ეფუძნება კანონიერების, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების, კოლეგიალობის და კონფიდენციალობის პრინციპებს;

8) წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევას კვლევის ეთიკის კომისია უზრუნველყოფს კვლევის ეთიკურობის შეფასების გზით, რის ფარგლებშიც კომისია განიხილავს მკვლევარის მიერ წარმოდგენილ განაცხადს, აფასებს მის ეთიკურ ასპექტებს, ამზადებს შეფასებას და განსაზღვრავს კვლევის ეთიკური ნორმებთან შესაბამისობას;

9) კვლევა ეთიკურია და შესაბამისად ეთიკის კომისია ადგენს კვლევის ეთიკურ ნორმებთან/სტანდარტებთან შესაბამისობას თუ კვლევა აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

ა) კვლევა თანხვედრაშია უნივერსიტეტში არსებულ დარგებთან;

ბ) კვლევა არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ მიზნებს და პრინციპებს;

გ) კვლევა არ ლახავს ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს;

დ) კვლევის არცერთი ნაწილი არ შეიცავს სხვათა ღირსებისა თუ რეპუტაციის შემლახავ ინფორმაციას;

ე) კვლევის ფარგლებში არ გამოიყენება იმგვარი მეთოდები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების დარღვევა ან/და შეცდომაში შეყვანა;

ვ) კვლევა არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სამართლებრივ პრინციპებს;

ზ) კვლევა წარმოადგენს უშუალოდ მკვლევარის კვლევითი საქმიანობის შედეგს;

თ) კვლევა შეესაბამება კონკრეტულ დარგში კვლევის განხორციელების საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს.

მუხლი 2[1]. კვლევის ეთიკის სფეროში მოქმედი საერთაშორისო პრაქტიკის, ნორმების და პრინციპების ინკორპორირება

1) წინამდებარე დებულება იზიარებს, ბრიტანეთის საგანმანათლებლო კვლევითი ასოციაციის (British Educational Research Association - BERA) მიერ შემუშავებულ კვლევის ეთიკურ პრინციპებს[1] და ქცევის კოდექსს,[2] ასევე იზიარებს

[1] British Educational Research Association [BERA]. (2024). *Ethical Guidelines for Educational Research* (5th ed.). www.bera.ac.uk/publication/ethical- guidelines-for-educational-research-2024

[2] British Educational Research Association [BERA]. (2023). *BERA handbook: Member code of conduct.* www.bera.ac.uk/wp-content/uploads/2023/10/Code-of-Conduct-2023.pdf

ინტერნეტ მკვლევართა ასოციაციის (Association of Internet Researchers) მიერ შემუშავებული ინტერნეტ კვლევების ეთიკურ პრინციპებს.[3]

2) წინამდებარე დებულება არ იზღუდება ამ მუხლის პირველი პუნქცით განსაზღვრული დოკუმენტებით და საჭიროების შემთხვევაში, ასევე იზიარებს სხვა წყაორებში (მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებში, კონვენციებში და ა.შ.) განსაზღვრულ პრინციპებს და დებულებებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება დაკავშირებული იყოს კვლევის ეთიკის სახითებთან.

3) თუ ამ დებულებით, კვლევის ეთიკურიობასთან დაკავშრებული რაიმე საკითხი არ არის განსაზღვრული, ეთიკის კომისია უფლებამოსილია იხელმძღვანელოს ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტში მითითებული წყაროებით.

მუხლი 3. ეთიკის კომისიის შემადგენლობა

1) კომისიის შემადგენლობა მტკიცდება სკოლის დეკანის წარდგინებით და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2) კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი და შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისა;

3) ეთიკის კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) სკოლის დეკანი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) სკოლის აფილირებული პერსონალი;

გ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

დ) დარგის სპეციალისტ(ებ)ი;

ე) მოწვეული ექპსერტი (საჭიროებისამებრ).

5) ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში მოიწვევა კომისიის სხდომა, სადაც ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს;

6) ეთიკის კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია; საჭიროების შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწვეულ იქნეს განსახილველად წარმოდგენილი კვლევის შესაბამისი დარგის/მიმართულების სპეციალისტ(ებ)ი (შემდგომში ,,მოწვეული ექსპერტი“), რომელიც კომისიის საქმიანობაში მონაწილეობს სათათბირო ხმის უფლებით.

7) ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) ხელმძღვანელობს ეთიკის კომისიის შეხვედრებს;

ბ) ეთიკის კომისიას წარუდგენს განსახილველ კვლევას;

გ) შეიმუშავებს ეთიკის კომისიის საქმიანობის გეგმას;

დ) უზრუნველყოფს სხვა ფუნქციების შესრულებას.

8) ეთიკის კომისიის მდივანი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) თავმჯდომარესთან შეთანხმებით ახორციელებს ეთიკის კომისიის მუშაობის პროცედურულ და ტექნიკურ მხარდაჭერას (მათ შორის: დოკუმენტების მომზადება კომისიისთვის, სხდომის მოწვევა, დღის წესრიგის გაგზავნა ეთიკის კომისიის

[3] Association of Internet Researchers. (2019). Internet Research: Ethical Guidelines *(*3.0.*)* https://aoir.org/reports/ethics3.pdf

წევრებისთვის, სხდომის ოქმების მომზადება და სხვა პროცედურების წარმართვა);
ბ) ვალდებულია, მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე, შეატყობინოს კომისიის წევრებს კომისიის სხდომის დრო, ადგილი, კომისიის შემადგენლობა (მოწვეული ექსპერტის შემთხვევაში) და დღის წესრიგი;
9) ეთიკის კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება რექტორის ბრძანების დამტკიცებიდან ერთი წლის ვადით.
10) ეთიკის კომისიის შემადგენლობის რიგგარეშე (1 წლის გასვლამდე) განახლება ხდება კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის დროს, კერძოდ:
ა) ეთიკის კომისიის წევრის პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) ეთიკის კომისიის/წევრის გადაწყვეტილების (თვითაცილება/ინტერესთა კონფლიქტის, მიკერძოების თავიდან აცილების მიზნით) საფუძველზე;
გ) კომისიის წევრის გარდაცვალება;
დ) სასამართლოს მიერ კომისიის წევრის მხარდაჭერის მიმღებად, ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობა;
ე) კომისიის წევრის იმ ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც ითვალისწინებს კომისიის წევრობას.

მუხლი 4. ეთიკის კომისიის მუშაობის წესი

1) კვლევის ეთიკის კომისია სხდომებს მართავს იმ სიხშირით, რაც აუცილებელია მისი ფუნქციების შესასრულებლად.
2) კვლევის ეთიკის კომისიაში წარმოება იწყება მკვლევარის განაცხადის საფუძველზე და მიმდინარეობს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.
3) კვლევის ეთიკის კომისიის სხდომა მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის საფუძველზე. სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე.
4) კვლევის ეთიკის კომისიის წევრებს სხდომის დღის წესრიგი და საჭირო დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) ეგზავნებათ სხდომის ჩატარების თარიღამდე 3 სამუშაო დღით ადრე.
5) კვლევის ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს კომისიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად (საჭიროებისამებრ), შეუძლია მოიწვიოს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პირები, რომლებიც არ არიან ეთიკის კომისიის წევრები. მოწვეული პირების შესახებ ინფორმაცია კომისიის წევრებს მიეწოდებათ დღის წესრიგთან ერთად.
6) კვლევის ეთიკის კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ სხდომას ესწრება თავმჯდომარე (ან თავმჯდომარის მოადგილე), შესაბამისი დარგის სპეციალისტი და სხდომის მდივანი.
7) კვლევის ეთიკის კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
8) კვლევის ეთიკის კომისიის საქმიანობა აისახება სხდომის ოქმებში, რომელიც მითითებულია:
ა) სხდომის თარიღი;

ბ) სხდომაზე დამსწრე პირები;
გ) სხდომის დღის წესრიგი;
დ) კომისიის დასკვნას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის შესახებ;
ე) თანმხლები დოკუმენტების ნუსხას (არსებობის შემთხვევაში).

7) კვლევის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

8) კვლევის ეთიკის კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ ეთიკის კომისიის მიერ წერილობითი გადაწყვეტილების სახით და ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

9) კვლევის ეთიკურ პრინციპებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით წარმოდგენილი ინფორმაცია / დოკუმენტაცია, მათ შორის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმები შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის უსაფრთხო და კონფიდენციალური განთავსება უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10) კვლევის ეთიკის კომისია უფლებამოსილია საჭიროებისამებრ გასცეს რეკომენდაციები დებულებით რეგულირებად საკითხებთან დაკავშირებით.

11) კვლევის ეთიკის კომისია უზრუნველყოფს განხილული განაცხადების (კვლევების) აღრიცხვას, ასევე ამზადებს და რექტორს წარუდგენს ეთიკის კომისიის მიერ გაწეული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს. საჭიროების შემთხვევაში, ანგარიშის ასლს აწვდის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.

12) დებულებით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის კვლევის ეთიკის კომისია ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 5. განაცხადის წარდგენა ეთიკის კომისიაში

1) კვლევის ეთიკის კომისიაში წარმოება იწყება მკვლევარის წერილობითი განაცხადის საფუძველზე, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის არსებითი კომპონენტები, კერძოდ, კვლევის სფერო, კვლევის საგანი, აქტუალობა, კვლევის მეთოდები, კვლევის მიზნები და შედეგები. კვლევის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მკვლევარს უფლება აქვს განაცხადთან ერთად წარმოადგინოს კვლევასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტებიც.

2) კვლევის ეთიკის კომისიის მდივანი აკეთებს მკვლევარის მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და თანმხლები დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) პირველად ფორმალურ შემოწმებას.

3) მკვლევარის მიერ განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაციის მიუთითებლობის / არასრულად მითითების შემთხვევაში განაცხადის წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში კომისიის მდივანი ამზადებს წერილობით პასუხს ხარვეზის შესახებ.

4) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მკვლევარს ეძლევა 5 სამუშაო დღე სრულყოფილი განაცხადის წარმოსადგენად.

5) მკვლევარის განაცხადს სხდომის მდივანი არეგისტრირებს ელექტრონულ

ბაზაში, რომელშიც განაცხადს ანიჭებს სარეგისტრაციო ნომერს, უთითებს სკოლის და კვლევის დასახელებას, კვლევის ხელმძღვანელის/მთავარი მკვლევარის პირად მონაცემებს (სახელი, გვარი, აკადემიური პოზიცია, ხარისხი), განაცხადის შემოტანის თარიღს და კვლევის საინიციატივო ჯგუფის დასახელებას (არსებობის შემთხვევაში).

6) კომისიის მდივანი, თავმჯდომარესთან შეთანხმებით, სრულყოფილ განაცხადს ელექტრონული ფოსტით უგზავნის ეთიკის კომისიის წევრებს.

7) ეთიკის კომისიამ შესაძლოა მოითხოვოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც კვლევის ეთიკური შეფასებისთვის არის აუცილებელი.

8) კვლევის ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მოთხოვნის განაცხადის ფორმა წარმოდგენილია წინამდებარე დებულების დანართი №1-ს სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება

1) ეთიკის კომისიის არცერთ წევრს არ აქვს უფლება შეაფასოს კვლევა, თუ კი სახეზეა ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობა. მითითებულ შემთხვევაში ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრი ვალდებულია უარი თქვას კვლევის შეფასებაზე - განაცხადოს თვითაცილება.

2) თუ ეთიკის კომისიის წევრი, აცილების საფუძვლის არსებობისას, არ განაცხადებს თვითაცილებას, ეთიკის კომისიას უფლება აქვს კომისიის საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ამ პირის აცილება. ეთიკის კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირის აცილების საკითხს წყვეტს კომისია ამ პირის გარეშე, სხვა ყველა წევრის მონაწილეობით.

3) შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში მკვლევარი უფლებამოსილია განაცხადოს აცილება ეთიკის კომისიის კონკრეტული წევრის მიმართ.

4) ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, მხარეთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.

5) ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ეყრდნობოდეს მკვლევარის მიერ წარმოდგენილ განაცხადს და დოკუმენტებს (არსებობის შემთხვევაში), საქმის ირგვლივ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და შესაბამის მტკიცებულებებს.

6) ეთიკის კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც უნდა აისახოს კომისიის სხდომის ოქმში.

7) ეთიკის კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:

ა) კვლევა შეესაბამება ეთიკური კვლევის ნორმებს / სტანდარტებს;

ბ) კვლევა შეესაბამება ეთიკური კვლევის ნორმებს/სტანდარტებს დათქმის შესრულების პირობით (პირობითი თანხმობა შესწორებებით), რაც მკვლევარს აძლევს კვლევის დაწყების უფლებას, მხოლოდ გეგმაში ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდებული კონკრეტული ცვლილებების შეტანის და/ან მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, წარმოდგენილ

ცვლილებებს აფასებს შესაბამისი დარგის ექსპერტი (დასკვნით დადგენილ ვადაში), რომელიც ეთიკის კომისიას წერილობით დაუდასტურებს მკვლევარის მიერ დათქმის შესრულებას;

გ) კვლევა არ შეესაბამება ეთიკური კვლევის ნორმებს/სტანდარტებს.

8) ეთიკის კომისიის დასკვნის დაინტერესებული პირისთვის გაცნობა ხდება კომისიის სხდომის ჩატარებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

9) განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია კვლევის შეფასების ვადის შემცირება ან გაზრდა, რისთვისაც აუცილებელია ეთიკის კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

10) ეთიკის კომისიის დასკვნა აისახება კომისიის ოქმში.

11) მკვლევარს ეძლევა კომისიის ოქმის ასლი ან ამონაწერი ოქმიდან, რომელშიც მითითებულია კვლევის განხილვის შედეგი და ეთიკის კომისიის დასკვნა.

12) მკვლევარი ვალდებულია კვლევის ეთიკის კომისიას აცნობოს კვლევაში შეტანილი არსებითი (რადიკალური) ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება განაპირობოს კვლევის განმეორებითი ეთიკური შეფასების საჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში მკვლევარს არ აქნება კვლევის უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნების უფლება.

13) კვლევის ეთიკის საქმისწარმოების მასალების შენახვის ვადები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N72 ბრძანებითა და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ საქმისწარმოების ერთიანი წესით.

მუხლი 7. გადაწყვეტილების გასაჩივრება

1) თუ მკვლევარი არ ეთანხმება ეთიკის კომისიის დასკვნას, მას უფლება აქვს გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს დასკვნა შესაბამის სკოლის საბჭოში.

2) საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. საჩივარში წარმოდგენილი უნდა იყოს მისი განხილვისთვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება.

3) შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ საჩივრის განხილვისას თავიდან უნდა იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტი. საკითხის განხილვაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ის პირი, რომელიც ამავდროულად ეთიკის კომისიის წევრია ან კომისიის წევრი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების დროს.

4) საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება სკოლის საბჭოს დებულების შესაბამისად, საჩივრის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5) საჩივრის განხილვა ხორციელდება საჩივრის ავტორის დასწრების გარეშე.

6) შესაბამისი სკოლის საბჭოს უფლება აქვს მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) <u>საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ,</u> რაც გულისხმობს კვლევის ეთიკის კომისიის მიერ მიღებული დასკვნის უცვლელად დატოვებას;

ბ) <u>საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ,</u> რაც გულისხმობს კვლევის ეთიკის კომისიის მიერ მიღებული დასკვნის შეცვლას ან/და სრულიად გაუქმებას;

7) საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ

ექვემდებარება.

8) შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ეგზავნება ყველა დაინტერესებულ პირს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1) საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, წესრიგდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა შიდანორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2) წინამდებარე დებულება განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის, ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა შიდანორმატიული დოკუმენტაციის, მათ შორს, უნივერსიტეტის დებულებისა და კვლევის განვითარების პოლიტიკის შესაბამისად.

3) წინამდებარე დებულება, ასევე მასში განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება მტკიცდება და ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

4) წინამდებარე დებულება ვრცელდება მხოლოდ დებულებით განსაზღვრულ კვლევებზე, სტუდენტთა მიერ განხორციელებული კვლევის სტანდარტები წესრგდება შესაბამისი პროგრამის დებულებითა და გზამკვლევევით (იხილეთ სამაგისტრო ნაშრომისა და დისერტაციის მომზადების გზამკვლევი).

5) სადოქტორო სწავლების ფარგლებში სადოქტორო დისერტაციის ეთიკურობა ფასდება და წესრიგდება უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

6) წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება კვლევით დარგში პრორექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით და კვლევის ეთიკის სფეროში საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.